ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ბათუმის ტურისტული სააგენტო „EURO TOUR"

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

პრეამბულა

ქ. ბათუმი

დეკემბერი, 2013 წელი

უმაღლესი სახელოვნებო განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, სწავლებისა და შემოქმედების ინტეგრირების, ერთობლივი შემოქმედებითი პროექტების განხორციელების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი და ბათუმის ტურისტული სააგენტო „EURO TOUR"-ი თანხმდებიან თანამშრომლობაზე.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი მუშაობისა და აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- სააგენტოს სპეციალისტთა მიერ მასტერკლასების, საჯარო ლექციების და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას;
- სტუდენტთა პრაქტიკისათვის ხელშეწყობას;
- საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებაში თანამშრომლობასა და კონსულტაციების გაწევას;
- ერთობლივი შემოქმედებითი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას ერთობლივი პროექტების მომზადების, განხორციელებისა და აუცილებელი რესურსების მოზიდვის მიზნით.
1.2. თითოეული მხარის მატერიალურ-ტექნიკურ რესურს გამოიყენებენ უნივერსიტეტის პროფესორები, პედაგოგები, სასწავლო-შემოქმედებით პროცესში ჩართული სტუდენტები, ბათუმის ტურისტული სააგენტო „EURO TOUR"-ის თანამშრომლები და სპეციალისტები.
1.3. მხარეები ურთიერთშეთანხმებით მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა.) აკადემიური პროგრამების პრაქტიკასთან დაახლოებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით.
1.4. ბათუმის ტურისტული სააგენტო „EURO TOUR"-ი საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უზრუნველყოფს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტების პრაქტიკის გავლას.

მუხლი 2
2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირედება ორმხრივი შეთანხმებით.
2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3
3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.
3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

ბათუმის ტურისტული სააგენტო
„EURO TOUR"-ი დირექტორი ლ. თავდიშვილი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ე. მესხია

ბათუმი, მ. აბაშიძის ქ. № 36
ტელ: + 995 (422) 27 07 30
ელ. ფოსტა: info@eurotout.ge
ვებ-გვერდი: www.eurotout.ge

ბათუმი, ზოლუკა ასათიანის ქ. № 37
ტელ: [illegible]
ელ. ფოსტა: info@batu.edu.ge
ვებ-გვერდი: www.batu.edu.ge